ჩვენ ჩავატარეთ შპს „ეი თი იუს ჯორჯიას“ („კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებას, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის და განმარტებით შენიშვნებს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების ჩათვლით.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული ფასს სააღრიცხვო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალ ბუღალტრთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი) და ვმოქმედებდით პბეკ კოდექსით განსაზღვრული ეთიკური პასუხისმგებლობების დაცვით. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებით მომზადებულ მმართველობის ანგარიშს და არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემულ ჩვენს აუდიტის დასკვნას.

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშს და მასზე რაიმე სახის მარწმუნებელ დასკვნას არ გამოვხატავთ.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას. თუ, ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენ დავასკვნით, რომ ეს სხვა ინფორმაცია შეიცავს არსებითი ხასიათის უზუსტობას, ჩვენ ვაღიარებდით ვართ, განვაცხადოთ ამ ფაქტის შესახებ.

აღნიშნულ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით განსაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ბიზი ბიზი უილი

ხელმძღვანელობის მოვალეობები ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს აქვს თუ არა კომპანიას უნარი, რომ საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს სხვა რეალური ალტერნატივა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან, ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ გონივრული რწმუნება იმის შესახებ, რომ ცალკეული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. გონივრული რწმუნება მაღალი ხარისხის რწმუნებას წარმოადგენს, მაგრამ, ამავედროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად ან ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ცალკეული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ვახდენთ ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკების იდენტიფიცირებასა და შეფასებას; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერაშეფასების რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერაშეფასების რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო დაშვებებისა და შესაბამისი განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით აღრიცხვის წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის განუსაზღვრელობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ აღნიშნულ საკითხზე შესაბამის განმარტებით შენიშვნებში, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისთვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიანი წარმოდგენის ფორმას, სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, თუ რამდენად სამართლიანად ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ტრანზაქციებსა და მოვლენებს.

ნაზარაძე

კომპანიის მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად აღმოჩენილ მნიშვნელოვან დელალებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილი მნიშვნელოვანი ხარვეზების შესახებ.

ანგარიში სხვა იურიდიული და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობითა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ანგარიში მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი ამავე კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

ჩვენ გავეცანით მმართველობის ანგარიშს და ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე, ვასკვნით, რომ:

- 2024 წლის 31 დეკემბრის მმართველობის ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებას ან აუდიტის პროცესში მოპოვებულ ინფორმაციას; და
- მმართველობის ანგარიშში შედის ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია. მმართველობის ანგარიში აკმაყოფილებს შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს.

შპს „დელოიტი და ტუშის“ სახელით

შოთა ნაწიჭაშვილი

2025 წლის 26 ნოემბერი

თბილისი, საქართველო

ნინო ზაქარაიძე

შპს „ეი თი იუ ჯორჯია“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
საოპერაციო შემოსავალი	5	121,690	84,803
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	6	(45,171)	(28,903)
მთლიანი მოგება		76,519	55,900
საიჯარო ხარჯი	7	(39,688)	(28,628)
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი	8	(6,734)	(4,911)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		(1,324)	(1,017)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი		(60)	60
სხვა საოპერაციო შემოსავალი		304	272
სხვა საოპერაციო ხარჯები	9	(2,196)	(2,018)
საოპერაციო მოგება		26,821	19,658
ფინანსური შემოსავალი	13	585	397
ფინანსური ხარჯი		(1,053)	(780)
საკუთრო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი		(951)	(767)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		25,402	18,508
მოგების გადასახადის ხარჯი	10	(3,592)	(2,058)
წლის მოგება		21,810	16,450
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		21,810	16,450

ფინანსური ანგარიშგება გამოსაქვეყნებლად დამტკიცებული და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 26 ნოემბერი
მენეჯმენტის სახელით:

ემრე ბირდალი

ოპერაციების მენეჯერი

2025 წლის 26 ნოემბერი

ელენე ღვინაშვილი

ფინანსურ საქმეთა მენეჯერი

2025 წლის 26 ნოემბერი

9-32 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მ. ბირდალი

შპს „ეი თი იუ ჯორჯია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024 წ.	31 დეკემბერი 2023 წ.
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
არამატერიალური აქტივები		69	137
ძირითადი საშუალებები	11	3,704	4,452
აქტივის გამოყენების უფლება		16	38
წინასწარ გადახდილი ხარჯები (გრძელვადიანი)		300	300
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,089	4,927
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	12	7,744	8,126
წინასწარ გადახდილი ხარჯები		251	147
საგადასახადო აქტივები		832	561
სხვა მიმდინარე აქტივები		17	13
სავაჭრო დებიტორული დავალიანება (წმინდა)		1,180	805
ფული და ფულის ეკვივალენტები	13	8,187	4,522
სულ მიმდინარე აქტივები		18,211	14,174
სულ აქტივები		22,300	19,101
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	1,754	1,754
გაუნაწილებელი მოგება		12,913	11,450
სულ საკუთარი კაპიტალი		14,667	13,204
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები		-	20
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	20
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	14	7,101	5,442
საიჯარო ვალდებულებები		23	25
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები		308	268
სხვა ვალდებულებები		201	142
სულ მიმდინარე ვალდებულებები		7,633	5,877
სულ ვალდებულებები		7,633	5,897
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		22,300	19,101

მენეჯმენტის სახელით:

ემრე ბირდალი

ოპერაციების მენეჯერი

2025 წლის 26 ნოემბერი

ელენე ჯედაშვილი

ფინანსურ საქმეთა მენეჯერი

2025 წლის 26 ნოემბერი

9-32 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

თეიმურაზ ბაქაძე

შპს „ეი თი იუ ჯორჯია“

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,754	7,437	9,191
წლის სრული შემოსავალი	-	9,436	9,436
გადახდილი დივიდენდები (მე-10 შენიშვნა)	-	(10,357)	(10,357)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,754	6,516	8,270
წლის სრული შემოსავალი	-	16,450	16,450
გადახდილი დივიდენდები (მე-10 შენიშვნა)	-	(11,516)	(11,516)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,754	11,450	13,204
წლის სრული შემოსავალი	-	21,810	21,810
გადახდილი დივიდენდები (მე-10 შენიშვნა)	-	(20,347)	(20,347)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,754	12,913	14,667

მენეჯმენტის სახელით:

ემრე ბირდალი

ოპერაციების მენეჯერი

2025 წლის 26 ნოემბერი

ელენე ჯვედაშვილი

ფინანსურ საქმეთა მენეჯერი

2025 წლის 26 ნოემბერი

9-32 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

მ. ბირდალი

შპს „ეი თი იუ ჯორჯია“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათასობით ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
საოპერაციო საქმიანობა			
წლის მოგება		21,810	16,450
კორექტირება:			
საშემოსავლო გადასახადის ხარჯი	10	3,592	2,058
ცვეთა და ამორტიზაცია		1,324	1,017
სავაჭრო დებიტორული დავალიანებების მოსალოდნელი			
საკრედიტო ზარალის ანარიცხი/(აღდგენა)		60	(60)
გამოუყენებელი შვებულების რეზერვი	8	59	44
ფინანსური შემოსავალი	13	(585)	(397)
ფინანსური ხარჯები		1,053	780
საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი		951	766
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		28,264	20,658
საბრუნავ კაპიტალში შესული ცვლილებები:			
კლება/(ზრდა) სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		382	(817)
ზრდა გადახდილი ავანსებში		(59)	(287)
ზრდა სავაჭრო დებიტორული დავალიანებებში		(330)	(805)
ზრდა სხვა მიმდინარე აქტივებში		(4)	1
კლება საგადასახადო აქტივებში		7	-
ზრდა/(კლება) სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში		1,176	(5,309)
ზრდა მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებში		16	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		29,452	13,441
მიღებული პროცენტი	13	585	397
გადახდილი პროცენტი		(1,053)	(780)
გადახდილი საშემოსავლო გადასახადი		(3,869)	(1,776)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		25,115	11,282
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შესყიდვები		(296)	(2,580)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(296)	(2,580)
ფინანსური საქმიანობა			
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა		(35)	(45)
გადახდილი დივიდენდები	10	(20,347)	(11,516)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(20,382)	(11,561)
წმინდა ზრდა/(კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		4,437	(2,859)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	13	4,522	7,964
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულსა და მათ ეკვივალენტებზე		(772)	(583)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	13	8,187	4,522

მენეჯმენტის სახელით:

ემრე ბირდალი

ოპერაციების მენეჯერი

2025 წლის 26 ნოემბერი

ელენე ჯვებაშვილი

ფინანსურ საქმეთა მენეჯერი

2025 წლის 26 ნოემბერი

9-32 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

თი იუ ჯორჯია

შპს „ეი თი იუ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ეი თი იუ ჯორჯია“ (შემდგომში - „კომპანია“), საიდენტიფიკაციო ნომრით - 206268386, არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2006 წლის 26 დეკემბერს დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია: თბილისის საერთაშორისო აეროპორტი, ისანი-სამგორის რაიონი, თბილისი, საქართველო.

კომპანია არის თურქეთში რეგისტრირებული საწარმოს, სს „ATU Turizm Isletmeciligi“-ის, სრულ მფლობელობაში არსებული შვილობილი კომპანია.

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იან წილს ფლობს თურქეთში რეგისტრირებული „ATU Turizm Isletmeciligi AS“ („ეი თი იუ ტურიზმი“). „ეი თი იუ ტურიზმი“ წარმოადგენს „ტავ ჰავალიმანლარი ჰოლდინგის“ (თურქეთი) და Gebr. Heinemann SE & CO KG (გერმანია) მიერ 54.8%-ით ფლობილი „Unifree Duty Free Isletmeciligi A.S.“-ის (თურქეთი) ერთობლივ საქმიანობას.

კომპანიის კუთვნილი დაუბეგრავი ვაჭრობის მაღაზიები და დიპლომატიური მაღაზიები ფუნქციონირებს საქართველოს სამი აეროპორტის გამგზავრების ტერმინალებში: თბილისსა და ბათუმში და ერთადერთი დაუბეგრავი ვაჭრობის ქსელია, რომელიც ფუნქციონირებს აეროპორტის ტერიტორიებზე. ბათუმისა და თბილისის საერთაშორისო აეროპორტების ფუნქციონირებას ახდენს შპს „ტავ ურბან საქართველო“ („ტავ საქართველო“, რომელიც არის სს „ტავ ჰავალიმანლარი ჰოლდინგის“ კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჰყავს 141 დაქირავებული პირი (31 დეკემბერი 2023: 134).

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულა აქციონერების მიერ. აქციონერებს შეუძლიათ ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებების შეტანა გამოშვების შემდეგ.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ისტორიული ღირებულება საზოგადოდ ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას.

ამ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ათას ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

ქვემოთ აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები, რომლებიც, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა წარმოდგენილ პერიოდზე.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცემა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ბიზნის დირექტორი

შპს „ეი თი იუ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასობით ლარში)

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია გაჭრობა;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

სამართლიანი ღირებულებით შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე;
- ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

ძირითადი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ თავიანთი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, იმ ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, კომპანიამ განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების, ასევე სამართლიანი ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე.

თბილისი *ანგარიშგების*

შპს „ეი თი იუ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასობით ლარში)

საოპერაციო შემოსავალი

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს დაუბეგრავი ვაჭრობის მაღაზიების ქსელის მეშვეობით მომხმარებლებისთვის საქონლის მიწოდება.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია შეასრულებს ნაკისრ მოვალეობას, ე.ი. დროის იმ მომენტში, როდესაც საქონელზე კონტროლი მყიდველს გადაეცემა, როგორც წესი, საქონლის მიწოდებისას კლიენტის მაღაზიაში. კომპანიამ დაასკვნა, რომ შემოსავალთან დაკავშირებულ გარიგებებში პრინციპალის სახით გამოდის, ვინაიდან, როგორც წესი, საქონელს თვითონ აკონტროლებს მომხმარებლებისთვის გადაცემამდე.

კომპანია საცალო გაყიდვებიდან შემოსავალს აღიარებს დროის იმ მომენტში, როდესაც ყიდის და მაღაზიებში პირდაპირ გადასცემს მომხმარებლებს მესამე მხარეების მიერ წარმოებულ პროდუქტებს. ამ გარიგებებზე ანგარიშსწორება მოხდა ნაღდი ფულით ან საკრედიტო ბარათით მიწოდებისთანავე. გაყიდვები ფასდება გაყიდულ საქონელში მიღებული საზღაურის სამართლიანი ღირებულებით, ფასდაკლების და დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით.

კომპანიის გაყიდვების უმეტესი ნაწილი დაუბეგრავი ვაჭრობის ზონებზე მოდის, თუმცა, იშვიათ შემთხვევებში, კომპანიას არადაუბეგრავი ვაჭრობიდანაც აქვს შემოსავლები. ორივე ტიპის შემოსავალი მიიჩნევა მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებულ შემოსავლად და ყველა ოპერაციის აღიარება ხდება დროის გარკვეულ მომენტში.

შემოსავალი ფასდება, როგორც იმ თანხის ოდენობა, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის კონკრეტული დისტრიბუციის არხის პრეისკურანტის საფუძველზე, დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლების შემდეგ.

სახელშეკრულებო ნაშთები

სახელშეკრულებო აქტივები

სახელშეკრულებო აქტივი არის საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემის სანაცვლოდ მათი ღირებულების მიღების უფლება. თუ კომპანია მომხმარებელს საქონელს ან მომსახურებას გადასცემს მომხმარებლის მიერ ანაზღაურების გადახდამდე ან გადახდის თარიღის დადგომამდე, სახელშეკრულებო აქტივის აღიარება ხდება მიღებული პირობითი ღირებულებისთვის. კომპანიას არ აქვს სახელშეკრულებო აქტივები.

სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება ხდება მაშინ, თუ მომხმარებლისგან მიიღება გადახდა ან გადახდის ვადა მოდის (რომელიც უფრო ადრე დგება), ვიდრე კომპანია გადასცემს მას შესაბამის საქონელს ან მომსახურებას. სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარება შემოსავლად ხდება მაშინ, როდესაც კომპანია ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას (ანუ კონტროლს შესაბამის საქონელსა თუ მომსახურებაზე მომხმარებელს გადასცემს).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალებების ერთეულის ისტორიული ღირებულება მოიცავს (ა) მის შესყიდვის ფასს, იმპორტის გადასახადისა და შესყიდვის არადაბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, სავაჭრო შეღავათებისა და ფასდაკლების გამოქვითვის შემდეგ; (ბ) ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ ემსახურება ერთეულის იმ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მოყვანას, რომელიც საჭიროა მისი ფუნქციონირებისთვის იმ მიზნით, რომელიც განუზრახავს კომპანიის ხელმძღვანელობას; (გ) ერთეულის დემონტაჟისა და მოხსნის, ასევე ობიექტის, რომელზეც ის მდებარეობს, აღდგენის დანახარჯების პროგნოზებს; (დ) ვალდებულებას, რომელსაც კომპანია თავის თავზე იღებს ან ერთეულის შეძენისას ან ერთეულის გარკვეული დროით გამოყენების შედეგად ისეთი

მთი მარჯოქი

შპს „ეი თი იუ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასობით ლარში)

მიზნობრივობით, რომელიც განსხვავდება მარაგების წარმოებისგან აღნიშნულ პერიოდში; და (ე) განსაკუთრებული აქტივების შემთხვევაში, კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით კაპიტალიზებულ ალბულო სესხებთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს ამ ობიექტიდან და თუ ობიექტის ღირებულების სარწმუნოდ განსაზღვრა შესაძლებელია. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ყველა დანარჩენი სარემონტო და ტექნიკურ-სამეურნეო ხარჯი აისახება იმ ფინანსური პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომლის განმავლობაშიც ის გაიწია.

შემდგომში კაპიტალიზებული დანახარჯები შეიცავს გაუმჯობესების და შეცვლის მასშტაბურ ხარჯებს, რომლებიც ახანგრძლივებს აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადას და ზრდის მათ შემოსავლიანობას. შეკეთების და ტექნიკურ-სამეურნეო ხარჯები, რომლებიც არ აკმაყოფილებს კაპიტალიზაციის ზემოაღნიშნულ კრიტერიუმს, აისახება ხარჯის სახით მოგება-ზარალში ან სრულ შემოსავალში მათი გაწევისთანავე.

ცვეთადი ღირებულება არის ძირითადი საშუალებების ობიექტის თვითღირებულება, რომელსაც აკლდება მისი ნარჩენი ღირებულება.

ძირითადი საშუალებების ცვეთა აღირიცხება იმგვარად, რომ ცვეთადი თანხა ჩამოიწეროს აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით. კომპანიის ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადებია:

	წლები
ავეჯი, მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	3-5
საიჯარო ქონების გაუმჯობესება	5
სატრანსპორტო საშუალებები	5

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც სხვაობა გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) შედის მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იმავე წელში, რომელშიც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში კომპანია განსაზღვრავს აქტივის აღდგენით ღირებულებას.

გადასახადები

დამატებული ღირებულების გადასახადი („დღგ“)

შემოსავალი, ხარჯები და აქტივები აღირიცხება ბრუნვიდან გადასახადის გამოკლებით, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- როდესაც შეუძლებელია ბრუნვიდან გადასახადის, რომლის ვალდებულებაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვისას წარმოიშობა, დაბრუნება საგადასახადო ორგანოებიდან, ამ შემთხვევაში ხდება ბრუნვიდან გადასახადის აღიარება აქტივის შესყიდვის ხარჯის ნაწილად ან ხარჯების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანების აღრიცხული ოდენობა შეიცავს ბრუნვიდან გადასახადს.

თბილისი

შპს „ეი თი იუ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასობით ლარში)

ბრუნვის გადასახადის ის ოდენობა, რომელიც დასაბრუნებელია საგადასახადო ორგანოს მიერ ან მისთვის არის გადასახდელი, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება საგადასახადო დავალიანებაში, მოგების გადასახადის გარდა, ან წინასწარ გადახდილ გადასახადებში, საჭიროებისამებრ.

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც იანგარიშება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით (მე-10 შენიშვნა). დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადის დავალიანება საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი შემოსავლის ანგარიშგებაში.

2024 წელს კომპანიამ გადაიხადა დივიდენდები და ტრანზაქციები მოგების განაწილებად ჩაითვალა, როგორც ეს ზემოთ იყო აღწერილი.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების დანერგვით. შესაბამისად, კომპანია ყველა გადასახადთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტაცაა.

გარიგებები და ნაშთები

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარიგებები თავიდან კომპანიის მიერ აღირიცხება მის შესაბამის სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების აღიარების დღეს არსებული სპოტ გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ლარში კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები აღირიცხება ტრანზაქციის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსებით.

ფულადი მუხლების დაფარვით ან კონვერტაციით გამოწვეული სხვაობები აისახება მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ ფულადი მუხლებისა, რომლებიც საზღვარგარეთ საქმიანობაში კომპანიის წმინდა ინვესტიციების ჰეჯირებისთვის არის განკუთვნილი. ისინი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში წმინდა ინვესტიციების ჩამოწერამდე, როდესაც ხდება მთლიანი თანხის რეკლასიფიკაცია მოგებაში ან ზარალში და სრულ შემოსავალში. სხვა სრულ შემოსავალში ასევე აისახება ამ ფულადი მუხლების საკურსო სხვაობებზე მიკუთვნებული დარიცხული გადასახადი და კრედიტები.

ბილი ანგარიშგება

შპს „ეი თი იუ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასობით ლარში)

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი გარიგებების თარიღებისათვის მოქმედი საფალუტო კურსების შესაბამისად. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როგა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. არაფულადი მუხლების კონვერტაციის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღირიცხება მუხლის სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებით განპირობებული შემოსულობისა და ზარალის აღიარების შესაბამისად (ანუ თუ მუხლების სამართლიანი ღირებულების შემოსულობა ან ზარალი აღიარებულია სრულ შემოსავალში ან მოგებაში ან ზარალში, შესაბამისად, მათზე საკურსო სხვაობებიც სრულ შემოსავალსა თუ მოგება-ზარალში აისახება).

წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას შესაბამისი აქტივების, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარების დროს გამოყენებული სპოტური საფალუტო კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, რომლითაც კომპანია თავდაპირველად აღიარებს წინასწარი გადახდით მიღებულ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თანხის არაერთი წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, კომპანიამ თანხის თითოეული ავანსის გადახდისთვის ან მიღებისთვის ცალკე განსაზღვრავს ოპერაციის თარიღს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც აქტივის წლიური შემოწმება საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას. აქტივის ანაზღაურებად ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის ანაზღაურებად ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოძინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვების ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი გამოიყენება. ეს გამოთვლები დასაბუთდება შეფასების კოეფიციენტებით, აქციათა კოტირებული ფასებით საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული კომპანიების შემთხვევაში და სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მარცენებლებით.

კომპანია გაუფასურებას დეტალური ბიუჯეტებისა და ფინანსური პროგნოზების საფუძველზე გამოითვლის. ეს ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები, ჩვეულებრივ, ოთხწლიან პერიოდს მოიცავს. უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის გამოითვლება გრძელვადიანი ზრდის ტემპი, რომელიც გამოიყენება ხუთი წლის შემდგომი ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

ანგარიშგების ყოველი თარიღით ფასდება, არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღმოგზვრილი ან შემცირებულია. თუ ამის ნიშნები მართლაც არსებობს, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების შედეგად განცდილი უკვე აღიარებული ზარალის შებრუნება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის ანაზღაურებად ღირებულების განმსაზღვრელ დამგებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. შემობრუნების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის ანაზღაურებად ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვლილების გამოკლებით, წინა წლებში აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. ასეთი შემობრუნების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აქტივი აღირიცხულია გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც აღდგენა აღირიცხება, როგორც გადაფასებული ღირებულების ზრდა.

ბიბი ნიქიუქი

შპს „ეი თი იუ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასობით ლარში)

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფული და ფულის ეკვივალენტების მუხლი მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს ბანკსა და სალაროში და მოკლევადიან მაღალილიკვიდურ ანაზღაურებს სამ თვემდე თავდაპირველი ვადით, რომელთა კონვერტაცია ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი გარკვეულ თანხად და რომელთა ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკი არსებობს.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან და მოკლევადიანი დეპოზიტებისგან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, დაუფარავი საბანკო ოვერდრაფტების გამოკლებით, ვინაიდან ისინი მიიჩნევა კომპანიის ნაღდი ფულის მართვის განუყოფელ ნაწილად.

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება არის შესაძლებელი. როდესაც კომპანია მოელის ანარიცხების მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურებას, მაგალითად სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე, ანაზღაურების აღიარება ხდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება გადაწყვეტილია. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები წარმოდგენილია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნებისმიერი ანაზღაურების გამოკლებით.

თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მნიშვნელოვანია, ანარიცხების დისკონტირება ხდება მიმდინარე დაბეგვრამდელი განაკვეთით, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ასახავს ამ ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გამოყენების შემთხვევაში, ანარიცხების ზრდა დროის გასვლის გამო აღიარებულია ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში.

დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მფლობელების კაპიტალის შემცირების სახით მათი გამოცხადების პერიოდში. დივიდენდები, რომლებიც ცხადდება საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, აღირიცხება, როგორც ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენა და შესაბამისად აისახება ანგარიშგებაში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება „პირველი შემოსული-პირველი გასულის“ (FIFO) საფუძველზე. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის სავარაუდო ხარჯი.

კომპანია სხვადასხვა ტიპის ბონუსებს იღებს სასაქონლო-მატერიალური მარაგების მომწოდებლებისგან, ძირითადად, მოცულობის გამო ფასდაკლებების, სავაჭრო ადგილის გადასახადების და მომწოდებლებისთვის შესყიდვებთან პირდაპირ დაკავშირებული შემხვედრი მომსახურებების გაწევის სახით. ეს ბონუსები ამცირებს სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულებას და აღირიცხება, როგორც გაყიდული მარაგების თვითღირებულების შემცირება, როდესაც შესაბამის მარაგებზე კონტროლი მომხმარებელს გადაეცემა.

პირობითი ვალდებულებები და აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინების ალბათობა დაბალია. პირობითი აქტივები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღება მოსალოდნელია.

ბიზნისი

შპს „ეი თი იუ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასობით ლარში)

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის აღიარება ხდება კომპანიის მიერ მიღებული შენატანების სამართლიანი ღირებულებით.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიის თანამშრომლების მიერ. 2019 წლის 1 იანვრიდან კომპანია თანამშრომელთა დარიცხული ხელფასებიდან და სხვა გასამრჯელოებიდან 2% სახელმწიფო საპენსიო სააგენტოში იხდის. კომპანია არ არის პასუხისმგებელი შრომითი საქმიანობის შემდგომ გასამრჯელოებზე.

ფინანსური შემოსავალი

ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მისი დარიცხვისას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (EIR) არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოდიანების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებამდე.

გარიგებები საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ პირებთან

საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ პირებთან ყველა გარიგება ფასდება თვითღირებულებით, თუ ფინანსური ანგარიშგების რომელიმე სტანდარტი, მაგალითად ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“, სხვა რამეს არ ითვალისწინებს. იმ შემთხვევაში, თუ გარიგებები არ შეიცავს საზღაურს, მაშინ მათი ღირებულება ნულით ფასდება.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები წარმოდგენილია თვითღირებულებით, რასაც აკლდება სავარაუდო უიმედო თანხებისთვის შექმნილი რეზერვი. გადახდილი ავანსები მაშინ კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც გადახდილი ავანსებთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება ერთი წლის შემდეგაა მოსალოდნელი ან მაშინ, როდესაც გადახდილი ავანსები უკავშირდება აქტივს, რომელიც, პირველადი აღიარებისას, თვითონ იქნება კლასიფიცირებული გრძელვადიანად. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როგორც კი კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და მოელის აქტივიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღებას.

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორისთვის – ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები

პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია მათი თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნესმოდელზე, რომლითაც ის ამ ფინანსურ აქტივებს მართავს. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გამოკლებით, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკული მიზანშეწონილობა გამოიყენა, კომპანია ფინანსურ აქტივს თავდაპირველად აღიარებს მისი სამართლიანი ღირებულებით და, თუ ფინანსური აქტივი არ არის აღიარებული სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, მას უმატებს გარიგების დანახარჯებს.

ბიზნესი

შპს „ეი თი იუ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასობით ლარში)

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირება და სრულდება ინსტრუმენტის დონეზე.

კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ის თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიად იყოფა:

- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტები);
- მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტები)

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებში შედის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები 90 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანია სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მიერ ჩატარებული საკრედიტო ანალიზის გათვალისწინებამდე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

ფინანსური ვალდებულებები

პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

პირველადი აღიარებისას ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები, მოგებაში ან ზარალში ასახვით, სესხები და გადასახდელი ანგარიშები ან კრედიტორული დავალიანება.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხებისა და გადასახდელი ანგარიშებისა და კრედიტორული დავალიანების შემთხვევაში, აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ფინანსურ ვალდებულებებში შედის სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება და საიჯარო ვალდებულებები (2023 წლის 31 დეკემბერი: სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება და საიჯარო ვალდებულებები).

თბილისი, 2024 წლის 15 იანვარი

შპს „ეი თი იუ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასობით ლარში)

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, რომელსაც მეტწილად განსხვავებული პირობები აქვს ან თუ არსებული ვალდებულების პირობები მეტწილად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო განსხვავება შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთგაქვითვით ანგარიშსწორების განზრახვა, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი.

იჯარა

აქტივის გამოყენების უფლება

აქტივის გამოყენების უფლება ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი და კორექტირდება საიჯარო ვალდებულებების ყოველი ხელახალი შეფასებისას. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების, გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯების და იჯარის დაწყების თარიღით ან თარიღამდე გადახდილი იჯარების თანხებს, რასაც აკლდება მიღებული საიჯარო შეღავათები. აღიარებულ აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით სავარაუდო სასარგებლო მომსახურებისა და იჯარის ვადებს შორის უმოკლეს ვადაზე.

საიჯარო ვალდებულებები

კომპანია აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, როგორც იჯარის ვადის განმავლობაში გადასახდელი თანხების დღევანდელ ღირებულებას. საიჯარო გადასახადები მოიცავს არსებითად ფიქსირებულ გადახდებს, შემცირებულ მისაღები საიჯარო შეღავათებით, ცვლად საიჯარო გადასახადებს, რომლებიც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე და თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნაჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით. საიჯარო გადასახადების დღევანდელი ღირებულების გამოსათვლელად კომპანია იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღისთვის, თუ საიჯარო ხელშეკრულებაში ნაულისხმევი საპროცენტო განაკვეთი მკაფიოდ განსაზღვრული არ არის. იჯარის დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა იზრდება, რათა ასახოს პროცენტის ზრდა და მცირდება იჯარის გადახდის შესაბამისად. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ხელახლა ფასდება, თუ ხდება იჯარის ვადის მოდიფიკაცია ან ცვლილება, თუ იცვლება არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახადები ან ცვლილება შედის საბაზისო აქტივის შესყიდვის შეფასებაში.

ცვლადი საიჯარო გადასახადები, რომლებიც არ არის მიბმული ინდექსზე ან განაკვეთზე, აღიარებულია იმ პერიოდის ხარჯად (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი გაიწევა სასაქონლო-მატერიალური მარაგების შესაქმნელად), რომლის განმავლობაშიც დგება გადახდის გამომწვევი მოვლენა ან პირობა. ეს ცვლადი გადასახადები წარმოდგენილია საიჯარო ხარჯის სახით მოგებასა და ზარალში.

მოკლევადიანი იჯარები და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა

ისეთ იჯარებზე, რომლებიც მოკლევადიანია (განიმარტება, როგორც იჯარა 12 თვის ან ნაკლებ ვადით) და დაბალი ღირებულების აქტივების იჯარებზე საიჯარო გადახდები აღიარდება როგორც საოპერაციო ხარჯი წრფივ საფუძველზე იჯარის ვადის განმავლობაში, თუ სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უკეთ არ ასახავს დროით სურათს, რომლითაც ხდება საიჯარო აქტივების ეკონომიკური სარგებლის მოხმარება.

ბიზნისი *ნაწილი*

საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც მოსალოდნელ სამომავლო ფულად გადახდებს/შემოსავლებს ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის, ან სადაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში ადისკონტირებს ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას და დამატებით ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ კომპანია გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღირიცხება, როგორც საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი.

როდესაც ფინანსური აქტივის თუ მსგავსი აქტივების ჯგუფის ღირებულება მცირდება გაუფასურების ზარალის გამო, და ეს აქტივი აკმაყოფილებს საკრედიტო რისკით გაუფასურებულის განმარტებას, საპროცენტო შემოსავლის აღიარება გრძელდება ახალ საბალანსო ღირებულებაზე თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

3. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება

მიმდინარე წელს ძალაშია საბჭოს მიერ გამოშვებული ფასს სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების შემდეგი შესწორებები, რომლებიც სავალდებულოა 2024 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. მათ გამოყენებას არ ჰქონია რაიმე საგრძნობი ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტებულ თანხებზე.

შესწორება სტანდარტში — ბასს 1 ვალდებულებათა კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიან ვალდებულებებად	კომპანიამ 2020 წელს გამოშვებულ ბასს 1 სტანდარტში ცვლილებები პირველად მიმდინარე წელს გამოიყენა. ცვლილებები ეხება მხოლოდ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ვალდებულებების დაჯგუფებას მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად, და არა რომელიმე აქტივის, ვალდებულების, შემოსავლის ან ხარჯის აღიარების ვადას ან მათზე გამჟღავნებულ ინფორმაციას. ცვლილებების განმარტებით, ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად ეფუძნება კომპანიის საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის არსებულ უფლებებს. ასევე, კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს მოლოდინი იმისა, გამოიყენებს თუ არა კომპანია ვალდებულების დაფარვის გადავადების უფლებას. უფლებები არსებობს იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმებები დაცულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს. მიღებულია „ანგარიშსწორების“ განმარტება, რაც გულისხმობს ფულადი სახსრების, წილობრივი ინსტრუმენტების, სხვა აქტივების ან მომსახურების კონტრაგენტისთვის გადაცემას.
შესწორება სტანდარტში — ბასს 1 „ფინანსური ანგარიშგების პრეზენტაცია“ — გრძელვადიანი, დათქმით აღებული ვალდებულებები	კომპანიამ 2022 წლის ნოემბერში გამოშვებულ ბასს 1 სტანდარტში ცვლილებები პირველად მიმდინარე წელს გამოიყენა. ცვლილებები განსაზღვრავს, რომ მხოლოდ ის შეთანხმებები, რომლებიც კომპანიამ უნდა შეასრულოს საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისას ან დასრულებამდე, ახდენს გავლენას კომპანიის უფლებაზე გადადოს ვალდებულების დაფარვა საანგარიშგებო თარიღიდან სულ მცირე თორმეტი თვით (შესაბამისად, გასათვალისწინებელია ვალდებულების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად კლასიფიკაციისას). ასეთ შეთანხმებებს გავლენა აქვს, თუ უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, მაშინაც კი, თუ შეთანხმებასთან შესაბამისობა შეფასდება მხოლოდ საანგარიშგებო თარიღის შემდეგ (მაგ. შეთანხმება, რომელიც დაფუძნებულია საანგარიშგებო თარიღისთვის არსებულ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, რომელიც შეფასებულია შესაბამისობაზე მხოლოდ საანგარიშგებო თარიღის შემდეგ). ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო ასევე განმარტავს, რომ ვალდებულების დაფარვის, ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ თორმეტი თვით გადადების უფლებაზე არ მოხდება გავლენა, თუ კომპანია ვალდებულია შეასრულოს პირობები მხოლოდ

შპს „ეი თი იუ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასობით ლარში)

	საანგარიშო პერიოდის შემდეგ, თუმცა, თუ კომპანიის უფლება, გადაავადოს ვალდებულების დაფარვა, ექვემდებარება კომპანიის მიერ პირობების შესრულების ვალდებულებას საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, კომპანია აქვეყნებს ინფორმაციას, რომელიც საშუალებას აძლევს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს გააცნობიერონ საანგარიშო პერიოდიდან თორმეტი თვეში გადასახდელი ვალდებულებების რისკი. აღნიშნული მოიცავს შეთანხმებების შესახებ ინფორმაციას (მათ შორის, შეთანხმების ბუნებას და კომპანიის მიერ შეთანხმების პირობების შესრულების ვადას), ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას, იმ ფაქტებს და გარემოებებს, არსებობის შემთხვევაში, რაც მიუთითებს, რომ კომპანია შესაძლოა განიცდიდეს სირთულეებს პირობების შესრულებისას.
შესწორება სტანდარტში ფასს 16 იჯარა — საიჯარო ვალდებულება გაყიდვა - უკუიჯარის ტრანზაქციაში	კომპანიამ ფასს 16 სტანდარტში ცვლილებები პირველად მიმდინარე წელს გამოიყენა. ფასს 16 სტანდარტში ცვლილებები ამატებს გაყიდვებისა და იჯარის ოპერაციებისთვის აუცილებელ შემდგომი შეფასების მოთხოვნებს, რომლებიც აკმაყოფილებს ფასს 15 სტანდარტს - შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან, რომლებიც უნდა აღირიცხოს როგორც გაყიდვა. ცვლილებების თანახმად, გამყიდველმა მეიჯარემ უნდა განსაზღვროს „იჯარის გადასახადი“ ან „შესწორებული იჯარის გადასახადი“ ისე, რომ არ აღიაროს მის მიერ დაწყების თარიღის შემდეგ შენარჩუნებული გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი. ცვლილებები არ ახდენს გავლენას გამყიდველი მეიჯარის მიერ აღიარებულ მოგება-ზარალზე, რომელიც უკავშირდება იჯარის ნაწილობრივ ან სრულ შეწყვეტას. ნახსენები ახალი მოთხოვნების გარეშე, გამყიდველმა მეიჯარემ შესაძლოა აღიარა მოგება გამოყენების უფლებიდან, რომელსაც ინახავს მხოლოდ საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების მიზნით (მაგალითად, იჯარის ცვლილების ან იჯარის ვადის ცვლილების შედეგად) ფასს 16-ის ზოგადი მოთხოვნების გამოყენებით. აღნიშნული კონკრეტულად შეიძლება და ყოფილიყო იჯარის უკუგების შემთხვევაში, რომელიც მოიცავს იმ ცვლადი იჯარის გადახდას, რომელიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე. როგორც ცვლილებების ნაწილი, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ შეცვალა საილუსტრაციო მაგალითი ფასს 16-ში და დაამატა ახალი მაგალითი გამოყენების უფლების მქონე აქტივისა და იჯარის ვალდებულების შემდგომი შეფასების საილუსტრაციოდ გაყიდვისა და იჯარის ოპერაციებში ცვლადი იჯარის გადახდებით, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე. საილუსტრაციო მაგალითები ასევე განმარტავს, რომ გაყიდვისა და იჯარის ოპერაციიდან წარმოქმნილი ვალდებულება, რომელიც ფასს 15-ის თანახმად კვალიფიცირდება როგორც გაყიდვა, არის იჯარის ვალდებულება. გამყიდველი მეიჯარე ცვლილებებს იყენებს რეტროსპექტულად, ბასს 8-ის შესაბამისად, თავდაპირველი განაცხადის თარიღის შემდეგ განხორციელებულ გაყიდვისა და იჯარის ოპერაციებზე, რომელიც განისაზღვრება როგორც წლიური საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისი როდესაც კომპანიამ პირველად გამოიყენა ფასს 16.

ახალი და რედაქტირებული ფასს სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის, კომპანიას არ გამოუყენებია შემდეგი ახალი და რედაქტირებული ფასს სტანდარტები, რომლებიც, მართალია, გამოიცა, მაგრამ ბოლომდე ძალაში არ შესულა:

ცვლილებები ბასს 21-ში
ფასს 18
ფასს 19

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას;
ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებები
შვილობილი კომპანიები საიჯარო ანგარიშგვალდებულების
გარეშე: განმარტებები

ნინო ნაწიკაძე

კომპანიის მენეჯმენტი არ ელის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სტანდარტების გამოყენებას მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნება მომავალი პერიოდების კომპანიის ფინანსურ ინფორმაციაზე.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას, რომლებიც აღწერილია შენიშვნაში #3, მენეჯმენტს ევალება შეფასებების გაკეთება, რომლებსაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს აღიარებულ თანხებზე. აგრეთვე ევალება ვარაუდებისა და დაშვებების გამოთქმა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების თაობაზე, რომლებიც სხვა წყაროებში მკაფიოდ არ ჩანს. შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს. სამართლიანი შედეგები შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების კორექტირება აღიარდება ამ კორექტირების გაკეთების პერიოდში, თუ კორექტირება მხოლოდ იმ პერიოდზე მოქმედებს, და აღიარდება კორექტირების და შემდგომ პერიოდებში, თუ კორექტირება მოქმედებს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

შეფასების განუსაზღვრელობის ძირითადი წყაროები

ქვემოთ განხილულია ის ძირითადი დაშვებები მომავლის შესახებ და საანგარიშო პერიოდის შეფასების განუსაზღვრელობის სხვა ძირითადი წყაროები, რომლებიც მნიშვნელოვან რისკს შეიცავს მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების არსებითი კორექტირების აუცილებლობის თვალსაზრისით:

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობამ შეიძლება საფუძველი დაუდოს სხვადასხვა ინტერპრეტაციასა და ცვლილებას. ამასთან, ვინაიდან ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის აღქმა შეიძლება საგადასახადო ორგანოების ხედვისგან განსხვავდებოდეს, საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ გარიგებები და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოებისგან შემოწმებას სამი წლის განმავლობაში ექვემდებარება. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიას ყველა გადასახადი გადახდილი აქვს, შესაბამისად, რეზერვი ამ ფინანსურ ანგარიშგებაში არ შექმნილა.

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადა

ძირითადი საშუალების ერთეულის სარგებლიანობის ვადა დგინდება მენეჯმენტის შეფასებით და ეფუძნება მსგავს აქტივებზე არსებულ გამოცდილებას. აქტივებში ჩადებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარება ძირითადად ხდება მათი გამოყენებით. თუმცა, ტექნიკური ან კომერციული დამძველება და ფიზიკური ცვეთა ხშირად იწვევს აქტივებში ჩადებული ეკონომიკური სარგებლიანობის შემცირებას.

მენეჯმენტი დარწმუნდეს სარგებლიანობის ვადას ზომავს აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის საფუძველზე, რომლის განმავლობაშიც ნავარაუდევია აქტივების მიერ კომპანიისათვის სარგებლის მოტანა. განიხილება შემდეგი მთავარი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და რემონტის პროგრამაზე; და (გ) ტექნიკური ან კომერციული დამძველება, რომელიც ბაზრის პირობების ცვლილებიდან გამომდინარეობს.

ნიმუში ნაჩვენებია

შპს „ეი თი იუ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასობით ლარში)

5. საოპერაციო შემოსავალი

საოპერაციო შემოსავალი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით:

	2024	2023
დაუბეგრავი გაყიდვები გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით		
თბილისი	79,836	56,540
ბათუმი	23,690	14,114
ქუთაისი	14,107	14,149
არადაუბეგრავი გაყიდვები*	4,057	-
სულ საოპერაციო შემოსავალი	121,690	84,803

საოპერაციო შემოსავალი დაუბეგრავი ვაჭრობის მაღაზიებში გაყიდული პროდუქტების ტიპების მიხედვით:

	2024	2023
სასმელი და საკვები პროდუქტები	68,710	51,086
სუნამოები და კოსმეტიკა	42,549	29,490
აქსესუარები	6,353	4,207
საფეიქრო ნაწარმი და სხვა	21	20
არადაუბეგრავი გაყიდვები*	4,057	-
სულ საოპერაციო შემოსავალი	121,690	84,803

კომპანიის გაყიდვების უმეტესი ნაწილი ნაღდი ფულით ხორციელდება, შესაბამისად, ისინი არ წარმოქმნიან კონტრაქტთან დაკავშირებულ აქტივებს ან ვალდებულებებს.

კომპანია ასრულებს თავის შესრულების ვალდებულებებს გარკვეულ დროს საქონლისა და მომსახურების გადაცემით.

*თანხა ეხება ყაზახეთში დაკავშირებულ კომპანიაზე გადაცემულ საქონელს, რომელიც კომპანიის საცალო მაღაზიების მეშვეობით არ გაყიდულა.

6. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

გაყიდული საქონლის თვითღირებულება გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით:

	2024	2023
გაყიდული საქონლის თვითღირებულება გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით		
თბილისი	27,691	19,035
ბათუმი	9,080	5,169
ქუთაისი	4,404	4,699
არადაუბეგრავი გაყიდვები*	3,996	-
სულ გაყიდული საქონლის თვითღირებულება	45,171	28,903

ბიზნის ნაწილის მფლობელი

შპს „ეი თი იუ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასობით ლარში)

გაყიდული საქონლის თვითღირებულება დაუბეგრავი ვაჭრობის მაღაზიებში გაყიდული პროდუქტების ტიპების მიხედვით:

	2024	2023
სასმელი და საკვები პროდუქტები	22,906	17,217
სუნამოები და კოსმეტიკა	15,933	10,245
აქსესუარები	2,326	1,434
საფეიქრო ნაწარმი და სხვა	10	7
არადაუბეგრავი გაყიდვები*	3,996	-
სულ გაყიდული საქონლის თვითღირებულება	45,171	28,903

*თანხა ეხება ყაზახეთში დაკავშირებულ კომპანიაზე გადაცემულ საქონელს, რომელიც კომპანიის საცალო მაღაზიების მეშვეობით არ გაყიდულა.

7. საიჯარო ხარჯი

საიჯარო ხარჯების ჩაშლა გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით:

	2024	2023
თბილისი	27,127	19,381
ბათუმი	8,131	4,847
ქუთაისი	4,430	4,400
სულ საიჯარო ხარჯები	39,688	28,628

8. თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი

	2024	2023
ხელფასები	4,078	3,122
პრემიები	1,213	554
სახელმწიფო პენსიის შენატანი	133	93
გამოუყენებელი შვებულების რეზერვი	59	44
თანამშრომლებზე გაწეული სხვა ხარჯი	1,251	1,098
სულ თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი	6,734	4,911

9. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2024	2023
სხვა ხარჯები	401	421
შეფუთვის ხარჯები	333	227
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	309	229
ტექნიკური მომსახურების ხარჯები	270	280
სამივლინებო ხარჯები	199	77
კომუნალური ხარჯი	197	176
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	137	195
ადმინისტრაციული ხარჯები	130	134
სადაზღვევო ხარჯი	100	81
წარმომადგენლობითი ხარჯები	66	186
საგადასახადო ხარჯი	54	12
სხვა საოპერაციო ხარჯები, სულ	2,196	2,018

თბილისი ნაწარმი

შპს „ეი თი იუ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასობით ლარში)

10. საწესდებო კაპიტალი

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 1,754 ლარით.

2024 წელს კომპანიამ გამოაცხადა დივიდენდები 20,347 ათასი ლარის ოდენობით (2023: 11,516 ათასი ლარი), რომელიც სრულად იქნა გადახდილი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. მოგებაში ან ზარალში შესაბამისი საშემოსავლო გადასახადის ხარჯი შეადგენს 3,592 ათას ლარს (2023: 2,058 ათასი ლარი).

11. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მოძრაობა 2024 წლის განმავლობაში ასეთია:

	სატრანსპორტო საშუალებები	ავიჯი, აღჭურვილობა და მანქანა- დანადგარები	საიჯარო ქონების გაუმჯობესება	სულ
ღირებულება				
2022 წლის 31 დეკემბერი	451	5,586	5,298	11,335
დამატება	199	1,410	1,067	2,676
რეალიზაცია	(133)	-	-	(133)
2023 წლის 31 დეკემბერი	517	6,996	6,365	13,878
დამატება	309	130	35	474
რეალიზაცია	(120)	-	-	(120)
2024 წლის 31 დეკემბერი	706	7,126	6,400	14,232
დაგროვილი ცვეთა				
2022 წლის 31 დეკემბერი	332	4,176	4,155	8,663
წლიური ცვეთა	58	442	396	896
გაუქმება რეალიზაციის შდეგად	(133)	-	-	(133)
2023 წლის 31 დეკემბერი	257	4,618	4,551	9,426
წლიური ცვეთა	122	604	496	1,222
გაუქმება რეალიზაციის შდეგად	(120)	-	-	(120)
2024 წლის 31 დეკემბერი	259	5,222	5,047	10,528
2023 წლის 31 დეკემბერი	260	2,378	1,814	4,452
2024 წლის 31 დეკემბერი	447	1,904	1,353	3,704

12. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით:

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
თბილისი	4,657	4,869
ბათუმი	1,488	1,951
ქუთაისი	1,599	1,306
სასაქონლო-მატერიალური მარაგები, სულ	7,744	8,126

ნაწილი ნაწილი

შპს „ეი თი იუ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასობით ლარში)

სასაქონლო-მატერიალური მარაგები პროდუქტების კატეგორიების მიხედვით:

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
საკვები და სასმელი პროდუქტები	3,327	3,272
სუნამოები და კოსმეტიკა	3,484	3,785
აქსესუარები	764	662
საფეიქრო ნაწარმი და სხვა	169	407
სასაქონლო-მატერიალური მარაგები, სულ	7,744	8,126

13. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში	7,940	4,263
ნაღდი ფული სალაროში	247	259
ფული და ფულის ეკვივალენტები, სულ	8,187	4,522

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფული და ფულის ეკვივალენტები განთავსებულია ადგილობრივ კომერციულ ბანკში, რომელსაც Moody's-სგან მინიჭებული აქვს „Ba2/NP“/„Ba2/NP“ რეიტინგი, ხოლო Fitch Ratings-ისგან „BB-/B“/„BB/B“.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქართულ ლარსა და უცხოურ ვალუტებში დენომინირებული ფული და ფულის ეკვივალენტები შეადგენს 5,726 ათას და 2,461 ათას ლარს შესაბამისად (31 დეკემბერი 2023: 2,503 ათასი და 2,019 ათასი ლარი, შესაბამისად).

კომპანია იღებს წლიურ საპროცენტო სარგებელს - 10.25% ლარში დენომინირებულ მიმდინარე ანგარიშებზე და 0.5-1.5% აშშ დოლარში დენომინირებულ მიმდინარე ანგარიშებზე.

2024 წლის განმავლობაში ბანკებში განთავსებულ ფულად სახსრებზე საპროცენტო შემოსავალმა 585 ათასი ლარი შეადგინა (2023 წ.: 397 ათასი ლარი).

14. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება მეკავშირე მხარეების მიმართ (ა)	4,040	3,506
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება მესამე მხარეების მიმართ (ბ)	3,027	1,927
სხვა კრედიტორული დავალიანება	34	9
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	7,101	5,442

(ა) მეკავშირე მხარეების მიმართ არსებული სავაჭრო კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს გაყიდული საქონლის მომწოდებლების, მეიჯარეების, სურსათის მიწოდების სერვისების, ტექნიკური მხარდაჭერისა და საკონსულტაციო სერვისების მიმართ არსებულ კრედიტორულ დავალიანებას.

(ბ) მესამე მხარეების მიმართ არსებული სავაჭრო კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს ადგილობრივ ქართულ ბაზარზე შესყიდული საქონლის მომწოდებლების მიმართ არსებულ კრედიტორულ დავალიანებას.

მედი ნაწილობრივ

15. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

გარანტიები. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2019 წლის 29 აგვისტოს #257 ბრძანებისა და მისი მე-4 დანართის მოთხოვნების შესაბამისად, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ საქართველოს შემოსავლების სამსახურს წარუდგინა თავისუფალი ვაჭრობის ნებართვისა და საბაჟო საწყობებში საქონლის შენახვის საბანკო გარანტიები 200 ათასი ევროსა და 200 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 200 ათასი ევრო და 200 ათასი ლარი). შემოსავლების სამსახურის მხრიდან ბანკისათვის აღნიშნული გარანტიის აღსრულების თხოვნის საფუძველზე, ბანკი უფლებამოსილია, ჩამოაჭრას შესაბამისი თანხები კომპანიის ანგარიშებს.

2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს 85 ათასი ევროს ოდენობის შესრულების გარანტია უპირობო და შეუქცევადი საბანკო გარანტიების სახით, რომელიც ძალაში იქნება „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების მთელი ვადის განმავლობაში. კომპანიას „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებასთან“ გაფორმებული აქვს იჯარის ხელშეკრულება.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება ხშირი ცვლილებებითა და განსხვავებული ინტერპრეტაციებით. გარდა ამისა, ვინაიდან საგადასახადო კანონმდებლობის მენეჯმენტისეული ინტერპრეტაცია შეიძლება საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციისგან განსხვავდებოდეს, ამან შეიძლება გამოიწვიოს ამ უკანასკნელთა მხრიდან კომპანიის ტრანზაქციების ექვემდებარება და შედეგად, კომპანიას შეიძლება დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ანგარიშები შემოწმებისათვის ღიაა 3 წლის განმავლობაში.

საქართველოს სატრანსფერო ფასწარმოქმნის კანონმდებლობა 2014 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული შეიცვალა. გაჩნდა ანგარიშგებისა და დოკუმენტაციის წარდგენის დამატებითი მოთხოვნები. კანონის მიხედვით, საგადასახადო ორგანოებს უფლება აქვთ, პირს დააკისრონ დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები გარკვეულ ტრანზაქციებთან, მათ შორის, მეკავშირე მხარეებთან განხორციელებულ ტრანზაქციებთან მიმართებაში, თუ ჩათვალეს, რომ ტრანზაქცია საბაზრო პირობებით არ განხორციელებულა. კომპანიის სატრანსფერო ფასწარმოქმნის პოზიციების გასაჩივრების ეფექტის სარწმუნოდ შეფასება შეუძლებელია.

ამგვარი განუსაზღვრელობა შეიძლება დაკავშირებული იყოს გარიგებათა საბაზრო ფასების წარმოქმნასთან. კომპანიის მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მას დარიცხული აქვს ყველა დასარიცხი გადასახადი და, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში რეზერვი არ შეუქმნია.

სამართლებრივი დავები. დრო და დრო, ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, შესაძლებელია, კომპანიის წინაშე მიღებული იქნეს საჩივრები და მოთხოვნები. საკუთარი შეფასებებისა და შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არ მიიღებს არსებით აღურიცხავ დანაკარგებს, შესაბამისად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს ანარიცხებს ამ საკითხთან მიმართებით.

საოპერაციო გარემო - საქართველოს მსგავსი განვითარებადი ბაზრები ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. ბიზნესზე მოქმედი საკანონმდებლო გარემო სწრაფად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციით ხასიათდება. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

ბოლო სამი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც ძირითადად ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების გეგმებს უკავშირდება. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ჩატარებულ საკანონმდებლო ცვლილებებს ერთგვარად გზის გამკვლევის ფუნქცია ეკისრებოდა, საქართველო-ევროკავშირის დაახლოების სამოქმედო გეგმის პარალელურად მრავალი სხვა რეფორმა მოსალოდნელი.

მენეჯმენტს არ შეუძლია ყველა იმ მოვლენის განჭვრეტა, რომელმაც შეიძლება ზეგავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე და, შესაბამისად, იმ ეფექტის გამოთვლა, რაც მათ შეიძლება ჰქონდეთ კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ ის ყველა აუცილებელ ზომას იღებს კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების ტემპის შესანარჩუნებლად.

თიბა ბანკოვიჩი

16. გარიგებები მეკავშირე მხარეებთან

16.1 საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გარიგებები

მხარეები მეკავშირეებად ითვლებიან, თუ ისინი არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ ან თუ ერთერთ მხარეს ძალუმს მეორე მხარის გაკონტროლება ან მასზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის ან ერთობლივი კონტროლის განხორციელება ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. თითოეული ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ მის სამართლებრივ ფორმას.

თბილისი დაწესებულება

შპს „ეი თი იუ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასობით ლარში)

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია იმ საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გარიგებების მთლიანი თანხა, რომლებიც დაკავშირებულ შხარებთან განხორციელდა 2024 და 2023 წლებში:

უშუალო მშობელი კომპანია - 2024 წ. ATU Turizm Isletmeciligi A.S. საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები - 2024 წ. შპს „ტავ ურზან საქართველო“ შპს „ბათუმის აეროპორტი“ შპს „ბი-თი-ეი ჯორჯია“ შუალედური მშობელი კომპანია - 2024 წ. Gebr. Heinemann SE & Co. KG	ძირითადი ტექნიკური				სხვა	
	მარაგების საქონლის საშუალებები მომსახურებ პრეგრამული კომპანალური იჯარის პერსონალის	შესყიდვას დაბრუნება ს შესყიდვას	ბარჯები	ბარჯები	ბარჯი	ბარჯები
2,076	-	-	270	309	-	13
-	-	-	-	-	-	-
-	-	-	-	-	-	-
-	-	-	-	-	-	-
33,978	240	-	-	-	-	-

უშუალო მშობელი კომპანია - 2023 წ. ATU Turizm Isletmeciligi A.S. საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები - 2023 წ. შპს „ტავ ურზან საქართველო“ შპს „ბათუმის აეროპორტი“ შპს „ბი-თი-ეი ჯორჯია“ შუალედური მშობელი კომპანია - 2023 წ. Gebr. Heinemann SE & Co. KG	ძირითადი ტექნიკური				სხვა	
	მარაგების საქონლის საშუალებები მომსახურებ პრეგრამული კომპანალური იჯარის პერსონალის	შესყიდვას დაბრუნება ს შესყიდვას	ბარჯები	ბარჯები	ბარჯი	ბარჯები
383	(2)	30	280	229	-	4
-	-	-	-	-	-	-
-	-	-	-	-	-	-
-	-	-	-	-	-	-
22,110	-	-	-	-	-	-

ბათი ბათი

შპს „ეი თი იუ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასობით ლარში)

კომპანიას მეკავშირე მხარეებთან საოპერაციო გარიგებების შედეგად აქვს შემდეგი ნაშთები:

2024 წლის 31 დეკემბერი					
	სავაჭრო დებიტორული დავალიანება	სხვა მიმდინარე აქტივები	იჯარის ვალდებულე ბები	სავაჭრო და სხვა გადასახდელი ვალდებულებები	ვალდებულებები დაკავშირებული მხარეებისგან (მხარეების მიმართ)
შუალედური მშობელი კომპანია:					
ATÜ Turizm İşletmeciligi A.S.	244	13	-	(179)	78
კომპანიები ერთობლივ კონტროლქვეშ:					
შპს „ტავ ურბან საქართველო“	-	-	-	(2,683)	(2,683)
შპს „ბათუმის აეროპორტი“	-	-	(19)	(685)	(704)
შპს „ბი-თი-ეი ჯორჯია“	-	-	-	(40)	(40)
შპს „უნიფრი ჯორჯია“	-	4	-	-	4
შუალედური მშობელი კომპანიები:					
Gebr. Heinemann SE & Co. KG	441	-	-	(453)	(12)
	685	17	(19)	(4,040)	(3,357)
2023 წლის 31 დეკემბერი					
	გადახდილი ავანსები	სხვა მიმდინარე აქტივები	იჯარის ვალდებულე ბები	სავაჭრო და სხვა გადასახდელი ვალდებულებები	ვალდებულებები დაკავშირებული მხარეებისგან (მხარეების მიმართ)
შუალედური მშობელი კომპანია:					
ATÜ Turizm İşletmeciligi A.S.	-	9	-	(97)	(88)
კომპანიები ერთობლივ კონტროლქვეშ:					
შპს „ტავ ურბან საქართველო“	-	-	-	(2,193)	(2,193)
შპს „ბათუმის აეროპორტი“	-	-	(24)	(297)	(321)
შპს „ბი-თი-ეი ჯორჯია“	-	-	-	(36)	(36)
შპს „უნიფრი ჯორჯია“	75	4	-	-	79
შუალედური მშობელი კომპანიები:					
Gebr. Heinemann SE & Co. KG	233	-	-	(883)	(650)
	308	13	(24)	(3,506)	(3,209)

16.2 ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება

2024 და 2023 წლებში სამი თანამშრომლისგან შემდგარი უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობის მთლიანი ანაზღაურება, გადასახადების გარეშე, ასე გამოიყურება:

	2024	2023
ხელფასები და სარგებელი	914	703
პრემიები	241	96
სულ ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება	1,155	799

17. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა

კომპანია განიხილავს და მართავს შემდეგი სახის რისკებს: ფინანსური რისკები (საკრედიტო, საბაზრო, სავალუტო, ლიკვიდობისა და საპროცენტო განაკვეთის), გეოგრაფიული რისკი და სამართლებრივი რისკი. კომპანიის ფინანსური რისკის მართვის მიზანია რისკის დასაშვები ლიმიტების დადგენა და თანხების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენის უზრუნველყოფა. კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებისგან. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია კომპანიის საოპერაციო და კაპიტალური დანახარჯების დაფინანსება. კომპანიას აქვს ფული და ფულის ეკვივალენტები, რომლებსაც პირდაპირ თავისი ოპერაციებიდან იღებს.

ბიზნის გეგმვა

შპს „ეი თი იუ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასობით ლარში)

კომპანიას აქვს გეოგრაფიული, საკრედიტო, ლიკვიდურობის და სავალუტო რისკები. კომპანიას სხვა მნიშვნელოვანი საბაზრო რისკები არ აქვს, რადგანაც არ ფლობს ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს, რომლებზეც ექნებოდა ცვალებადი სამომავლო ფულადი ნაკადები საბაზრო ფასების მერყეობის გამო. ამასთანავე, კომპანიას არ აქვს ცვალებადი განაკვეთის ფინანსური ინსტრუმენტები და, შესაბამისად, არ აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკი.

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ნაღდი ფულის მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო საქმიანობა.

გეოგრაფიული რისკი

კომპანიის აქტივები მდებარეობს საქართველოში და მისი ბიზნეს-გეგმები კრიტიკულადაა დამოკიდებული ქვეყნის სტაბილურობასა და მასში კანონის უზენაესობაზე. საქართველო კვლავაც ამჟღავნებს განვითარებადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს. როგორც ასეთი, კომპანიაზე მოქმედებს ქვეყანაში საქმიანი თუ სამართლებრივი გარემოს ნებისმიერი გაუარესება.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის იმის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულებების შესრულებლობით გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. კომპანიას საკრედიტო რისკი აქვს საოპერაციო საქმიანობიდან და ფინანსური საქმიანობიდან გამომდინარე, ბანკებში განთავსებული ანგარიშების ჩათვლით.

საფინანსო საქმიანობის პროცესში წარმოშობილი საკრედიტო რისკის მართვა ძირითადად ხდება ანგარიშების გახსნით მხოლოდ საქართველოს უმაღლესი რეიტინგის მქონე ბანკებში, რომლებსაც კომპანიასთან უწყვეტი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ. ფული და ფულის ეკვივალენტები არც გაუფასურებულია და არც ვადაგადაცილებული.

საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა საანგარიშგებო თარიღისთვის წარმოადგენს ფულისა და ფულის ეკვივალენტების და სხვა მიმდინარე აქტივების საბალანსო ღირებულებას 9,384 ლარის ოდენობით (2023 წლის 31 დეკემბერი: 5,340 ლარი).

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეიძლება სირთულეს წააწყდეს ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების პროცესში. კომპანიის ლიკვიდურობის რისკს აანალიზებს და მართავს კომპანიის ხელმძღვანელობა.

ლიკვიდურობის მართვის მიმართ კომპანიის მიდგომაა, შემოღებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდურობა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში გაანალიზებულია კომპანიის ვალდებულებები მათი დარჩენილი საკონტრაქტო ვადიანობის მიხედვით. ცხრილში ნაჩვენებია თანხები სახელშეკრულებო არადისკონტირებული ფულადი ნაკადებია. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნაჩვენებია თანხებისგან განსხვავდება, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გადახდები კონვერტირებულია საანგარიშო დღეს მოქმედი სპოტური გაცვლითი კურსით.

თბილისი, 2024 წლის 15 იანვარი

შპს „ეი თი იუ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასობით ლარში)

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მოთხოვნამ დე და 1 თვემდე ვადის	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვე-5 წელი	5 წელზე მეტი	სულ	საბალანსო ღირებულება
საიჯარო							
ვალდებულება	2	1	6	13	-	23	23
სავაჭრო და სხვა							
გადასახდელები	5,178	1,923	-	-	-	7,101	7,101
სულ მომავალი გადახდები	5,180	1,924	6	13	-	7,124	7,124

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადის	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვე-5 წელი	5 წელზე მეტი	სულ	საბალანსო ღირებულება
საიჯარო							
ვალდებულება	2	5	21	22	-	50	44
სავაჭრო და სხვა							
გადასახდელები	4,243	1,199	-	-	-	5,442	5,442
სულ მომავალი გადახდები	4,245	1,204	21	22	-	5,492	5,486

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის იმის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შეიცვლება ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილების გამო. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ, გაყიდვებთან დაკავშირებულ ტრანზაქციებს, რადგან კომპანიას უფლება აქვს, პროდუქტები გაყიდოს ევროში, აშშ დოლარში, თურქულ ლირასა და ლარში. კომპანიის ყველაზე დიდი სავალუტო რისკი იმითაა გამოწვეული, რომ იგი საქონელს უცხოურ ბაზრებზე ევროში ყიდულობს. უცხოურ ვალუტაში ხდება ტექნიკური მხარდაჭერისა და საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიაზე მოქმედი სავალუტო რისკი საანგარიშო პერიოდის ბოლოს:

	EUR დენომინირებული		USD დენომინირებული	
	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო დებიტორული				-
დავალიანება	812	288	-	1
სხვა მიმდინარე აქტივები	13	9	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,075	1,620	1,366	393
საიჯარო ვალდებულება	-	-	(19)	(24)
სავაჭრო და სხვა გადასახდელები	(652)	(980)	(90)	-
წმინდა პოზიცია 31 დეკემბრის	1,248	937	1,257	370

მგრძნობელობა უცხოური ვალუტის მიმართ

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია კომპანიის დასაბეგრი მოგების მგრძნობელობა უცხოური ვალუტის კურსის გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვალებადობის მიმართ, როცა ყველა დანარჩენი ცვლადი მუდმივია, საანგარიშგებო თარიღისთვის ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში მომხდარი ცვლილებების გამო:

ბიზნისი *ნაწესი*

შპს „ეი თი იუ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასობით ლარში)

	სავალუტო კურსის ცვლილება	ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე
2024 წლის 31 დეკემბერი		
ევროს გამყარება %	20%	250
ევროს გაუფასურება %	20%	(250)
აშშ დოლარის გამყარება %	20%	251
აშშ დოლარის გაუფასურება %	20%	(251)
2023 წლის 31 დეკემბერი		
ევროს გამყარება %	20%	187
ევროს გაუფასურება %	20%	(187)
აშშ დოლარის გამყარება %	20%	74
აშშ დოლარის გაუფასურება %	20%	(74)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ლარი რომ ევროს მიმართ 20 პროცენტით გაუფასურებულიყო / გამყარებულიყო ყველა სხვა ცვლადის მუდმივობის პირობებში, კომპანიის გაუნაწილებელი მოგება იქნებოდა 250 ათასით (31 დეკემბერი 2023: 187 ათასი) დაბალი / მაღალი, ძირითადად ევროში დენომინირებული ფულადი ნაშთებისა და სავაჭრო გადასახდელების კონვერტირებით მიღებული სავალუტო ზარალის ან მოგების შედეგად.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ლარი რომ აშშ დოლარის მიმართ 20 პროცენტით გაუფასურებულიყო / გამყარებულიყო ყველა სხვა ცვლადის მუდმივობის პირობებში, კომპანიის გაუნაწილებელი მოგება იქნებოდა 251 ათასით (31 დეკემბერი 2023: 74 ათასი) დაბალი / მაღალი, ძირითადად აშშ დოლარში დენომინირებული ფულადი ნაშთებისა და სავაჭრო გადასახდელების კონვერტირებით მიღებული სავალუტო ზარალის ან მოგების შედეგად.

კაპიტალის რისკის მართვა

კომპანიას არ ეხება კაპიტალის გარე შეზღუდვები და მოთხოვნები. კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს კაპიტალის საკმარისი ბაზის შენარჩუნებას, რომ დააკმაყოფილოს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნები და როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომა შეინარჩუნოს ოპერაციების გასაგრძელებლად საჭირო დადებითი საკუთარი კაპიტალი.

ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებები

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღისთვის მნიშვნელოვნად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებებისგან მათი მოკლევადიანი ხასიათის გამო. ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც შეფასებული ან ფინანსურ ანგარიშგებაში გაცხადებულია, სამართლიანი ღირებულების მესამე დონის იერარქიას არის მიკუთვნებული, გარდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებისა, რომლებიც პირველ დონეს მიეკუთვნებიან.

18. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

დივიდენდები

2025 წლის 14 იანვარს, 27 თებერვალს, 10 ივნისს, 8 ივლისს, 1 სექტემბერს და 10 სექტემბერს გამართული აქციონერთა კრების მიხედვით, შპს „ეი თი იუ ჯორჯიამ“ გამოაცხადა დივიდენდის გაცემა „ATU Turizm Isletmeciligi A.S.“-ზე (ერთადერთი აქციონერი) 1 მილიონი ევროს, 1.5 მილიონი ევროს, 1.5 მილიონი ევროს, 1 მილიონი ევროს, 1 მილიონი ევროს და 1 მილიონი ევროს ოდენობით (5%-იანი დივიდენდის გადასახადის გამოკლებით), რომლის გადახდა მოხდა 2025 წელს.

თბილისი

შპს „ეი თი იუ ჯორჯია“

მმართველობის ანგარიში

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათასობით ლარში)

1. საქმიანობის განვითარება, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

1.1. საზოგადოების განვითარების გეგმა

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს:

ა. სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებების განხორციელების გარეშე რეალიზაციისათვის განკუთვნილი უცხოური და ადგილობრივი საქონლის სავაჭრო დარბაზებში ან/და საერთაშორისო რეისის განმახორციელებელ საჰაერო ხომალდში (შემდგომში – საჰაერო ხომალდი) რეალიზაცია იმ მგზავრებზე, რომლებიც ტოვებენ საქართველოს ტერიტორიას; ე.წ. უბაჟო ვაჭრობა - DUTY FREE.

ბ. უცხოეთის დიპლომატიური და მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობის ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა და დიპლომატიური მისიის წევრების (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით)

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტებია:

- საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის N471 დადგენილება „საბაჟო საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების გაცემის წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“.

კომპანია ყიდის საქონელს. 2024 წელს კომპანია საქონელს ყიდდა მხოლოდ თბილისის და ბათუმისა და ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტებში. „ეი თი იუ ჯორჯია“ ერთადერთი კომპანიაა, რომელიც საერთაშორისო აეროპორტებში ამგვარ საქმიანობას ახორციელებს. ამდენად, კომპანია ფლობს საქართველოს აეროპორტებში უბაჟო (დაუბეგრავი) ვაჭრობის 100%.

გარდა ამისა, კომპანია ბათუმში, ქალაქის ცენტრში, აეროპორტის ტერიტორიის გარეთ ახორციელებს დიპლომატებზე საქონლის საცალოდ გაყიდვას.

სარეალიზაციო საქონლის ასორტიმენტი იყოფა შემდეგ ძირითად ჯგუფებად:

- იმპორტული ალკოჰოლური სასმელები;
- ქართული ღვინოები და სპირტიანი სასმელები;
- პარფიუმერია;
- თამბაქოს ნაწარმი;
- ტკბილეული;
- სუვენირები.

როგორც უკვე აღინიშნა, კომპანიის საქმიანობის არეალი შეზღუდულია მხოლოდ საქართველოს საერთაშორისო აეროპორტებით. პერსპექტივაში ასეთი აეროპორტების ქსელის გაფართოება შეზღუდულია და ამ მხრივ ვერც კომპანიის სავაჭრო ქსელი ვერ გაფართოვდება. ქსელის გაფართოების ერთადერთი საშუალება დიპლომატთათვის ახალი ობიექტების გახსნაა, მაგრამ ამ მიმართულებით გაფართოება შეზღუდული კონტიგენტის გამო ნაკლებ პერსპექტიულია.

მეორეს მხრივ, გასაყიდი საქონლის ასორტიმენტიც შეზღუდული და სპეციფიკურია. მისი გაფართოება ასევე ნაკლებ პერსპექტიულია.

ფასები მეტ-ნაკლებად თანაბარია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ანალოგიურ ობიექტებში და მათი მნიშვნელოვანი ზრდა გამოიწვევს მყიდველთა მოთხოვნის შემცირებას.

ერთადერთი პერსპექტივა საქმიანობის გაფართოებისა არის მგზავრთა ნაკადის ზრდა. ზრდა შესაძლებელია მიღწეულ იქნეს, როგორც საქართველოს საერთაშორისო აეროპორტების სატრანზიტო ფუნქციის გაფართოებით, ასევე ტურისტული პოტენციალის ზრდით.

ნაწილობრივ

შპს „ეი თი იუ ჯორჯია“

მმართველობის ანგარიში

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

(ათასობით ლარში)

პირველი ფაქტორის პერსპექტივებზე არანაირი კვლევა არ არსებობს. რადგან ჩვენს მოსაზრებებზე თურქეთის ასეთი აეროპორტების განვითარებული ქსელი აქვს, ამ ფაქტორის გავლენა ნაკლებად იმედისმომცემად მიგვაჩნია. ჩვენი გათვლებით, წინა წელთან შედარებით, ის შეიძლება ყოველწლიურად 5-10%-ით გაიზარდოს.

მგზავრთა ნაკადის გაზრდა ბევრად უფრო პერსპექტიულად ითვლება. საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ერთობლივი კვლევების საფუძველზე, მიიღეს დოკუმენტი „საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“ (ზმული <https://gnta.ge/ge/>).

1.2 ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას უბაჟო მაღაზიები სამ საერთაშორისო აეროპორტში აქვს: თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში სხვადასხვა ადგილას 3 ფილიალი ფუნქციონირებს. ასევე, 4 მაღაზიაა ბათუმსა და ქუთაისში: ორი ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში, ხოლო ორი - ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში. ობიექტებს არ გააჩნიათ რაიმე ფორმის ფინანსური ან იურიდიული დამოუკიდებლობა. ფილიალების მიხედვით შემოსავლები ასე ნაწილდება (თანხები მითითებულია ათას ლარში):

ფილიალის დასახელება	შემოსავალი 2023	შემოსავალი 2024	ზრდა გასულ წელთან შედარებით (%)
თბილისი	56,541	79,837	41%
თბილისის მთავარი მაღაზია	43,280	62,788	45%
თბილისის ვინტაჟური მაღაზია	13,083	16,599	27%
თბილისი ბას-გეით მაღაზია	178	450	153%
ბათუმი	14,114	23,690	68%
ბათუმის მთავარი მაღაზია (აეროპორტი)	14,114	23,690	-68%
ბათუმის მაღაზია დიპლომატებისათვის	0	0	0%
ქუთაისი	14,149	14,107	0%
ქუთაისის მთავარი მაღაზია	12,323	12,351	0%
ქუთაისის კუთხის მაღაზია	1,826	1,756	-4%
ჯამი	84,804	117,634	39%

2. კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული კვლევების მიმოხილვა

ამ მიმართულებით საანგარიშგებო პერიოდში რაიმე სერიოზული კვლევა არ ჩატარებულა.

ილია ნოზაძე

შპს „ეი თი იუ ჯორჯია“

მმართველობის ანგარიში

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

(ათასობით ლარში)

3. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის საქმიანობის ბოლო ორი წლის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში. (თანხები მითითებულია ათას ლარში):

	31-12-23	31-12-24	% წინა წელთან შედარებით
მიმდინარე აქტივები	14,174	18,108	28%
გრძელვადიანი აქტივები	4,927	4,089	-17%
სულ აქტივები	19,101	22,197	16%
მიმდინარე ვალდებულებები	5,876	7,638	30%
გრძელვადიანი ვალდებულებები	20	(5)	-125%
მოგება / (ზარალი)	16,451	21,708	32%
სულ კაპიტალი	13,204	14,564	10%
შემოსავალი რელიზაციიდან	84,803	121,690	43%
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	28,903	45,274	57%

როგორც ცხრილიდან ჩანს, საანგარიშგებო პერიოდის რეალიზაცია წინა წელთან შედარებით გაზრდილია 43%-ით.

გაზრდილია ყველა ძირითადი ანალიტიკური მაჩვენებელიც. კერძოდ:

ა) მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი (Current ratio). იგი ასახავს კომპანიის უნარს, მიმდინარე აქტივებით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ეს მაჩვენებელი შეადგენს 2024 წლის ბოლოსათვის 2.38-ს. იგივე მაჩვენებელი წინა წლის ბოლოსათვის შეადგენდა 2.41 -ს.

ბ) სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი (Quick ratio). ეს მაჩვენებელი პასუხობს კითხვას, გაყიდვების შეწყვეტის შემთხვევაში, კომპანიას შეუძლია თუ არა თავისი მიმდინარე ვალდებულებები დაფაროს იოლად კონვერტირებადი აქტივებით. ეს მაჩვენებელი შეადგენს 2024 წლის ბოლოსათვის 1.37-ს. იგივე მაჩვენებელი წინა წლის ბოლოსათვის შეადგენდა 1.03-ს. ანუ (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 1.0-ს).

გ) აბსოლუტური ლიკვიდობის კოეფიციენტი (Absolute liquidity ratio) ეს მაჩვენებელი ასახავს კომპანიის უნარს დაფაროს მომწოდებელთა მიმართ ვალდებულებები. 2024 წლის ბოლოსათვის იგი შეადგენდა 1.07-ს ხოლო 2023 წლის ბოლოს 0.77-ს (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 0.2-ს).

დ) უკუგება აქტივებზე (Return on assets. ROA) მიუთითებს ფინანსურ უკუგებაზე გამოყენებული აქტივებიდან. იგი 2024 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 98%-ს. იგივე მაჩვენებელი წინა წლის ბოლოსათვის შეადგენდა -86%-ს. (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 100%-ს).

ე) კაპიტალის უკუგების კოეფიციენტი (Return on equity ROE) იგი ასახავს რამდენად ეფექტიანად გამოიყენება კომპანიაში დაბანდებული სახსრები. იგი 2024 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 149%-ს. იგივე მაჩვენებელი წინა წლის ბოლოსათვის შეადგენდა -125%-ს. (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 100%-ს).

ვ) უკუგება გაყიდვებზე -რენტაბელობა ((Return on sales ROS) იგი ასახავს გაყიდვების მომგებიანობას, იგი 2024 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 22%-ს. იგივე მაჩვენებელი წინა წლის ბოლოსათვის შეადგენდა -23%-ს. შესაბამისად, 2024 წელს მაჩვენებელი ოდნავ შემცირდა (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 15%-ს).

ზ) კრედიტორული დავალიანების ბრუნვალობის კოეფიციენტი (Accounts payable turnover ratio) იგი უჩვენებს რამდენჯერ იფარება კრედიტორული დავალიანება წლის განმავლობაში. იგი 2024 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 6.36-ს. იგივე მაჩვენებელი წინა წლის ბოლოსათვის შეადგენდა 5.31 -ს. (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 4.0-ს).

ნათქვამი

შპს „ეი თი იუ ჯორჯია“

მმართველობის ანგარიში

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

(ათასობით ლარში)

ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის ქცევის კოდექსში და სტანდარტებში მკაფიოდ არის გაწერილი მომხმარებლისთვის გაწეული მომსახურების ხარისხისთვის საჭირო ქცევები, მომხმარებელს მიეწოდება ინფორმაცია მისთვის დაინტერესებული პროდუქტების შესახებ.

მომხმარებლისთვის საგრძნობლად მნიშვნელოვანია მაღალი გარე და შიდა ხედები, ჰიგიენა და გამყიდველის გარეგნობა. ქვემოთ ჩამოთვლილი ოპერატიული ელემენტები მუდმივად კონტროლდება მომსახურების სტანდარტის უზრუნველსაყოფად

თითოეულ მაღაზიაში არის მერჩენდაიზინგის წესების პრინციპები, რაც დეტალურად არის განსაზღვრული მერჩენდაიზინგის პრინციპების ინსტრუქციებში და ექვემდებარება კატეგორიის დეპარტამენტის პასუხისმგებლობას.

4. ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები

რისკებთან დაკავშირებით კომპანიის მენეჯმენტს რაიმე მნიშვნელოვანი მიზეზი ან ფაქტორი მიმდინარე პერიოდისათვის არ გააჩნია.

იგი შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ მოხდება საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთა შედეგად სხვა ფირმას შეეძლება იგივე საქმიანობის დაწყება იგივე დისლოკაციის ადგილებზე, ან მოხდება სერიოზული ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობის ნაწილში, რაც გამოიწვევს გადასახადების გაზრდას.

მენეჯმენტის აზრით ასეთი რისკები საშუალოზე დაბალია და სერიოზულად არ განიხილება.

რაც შეეხება განუსაზღვრელობებს, დღეისათვის არსებობს შეზღუდვები კლიენტის მიერ საქონლის შეძენაზე როგორც რაოდენობის ასევე ლიტრაჟის მიხედვით. ასევე გასათვალისწინებელია ევროკავშირში ტრანზიტის საკითხიც და არსებული შეზღუდვები. კომპანიის საქმიანობის შედეგები შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს ამ ფაქტორების ცვლილების შემთხვევაში.

5. დამატებითი ინფორმაცია

კომპანიის პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი საყრდენი მისი თანამშრომლებია. ამიტომ პრიორიტეტი ენიჭება ადამიანური რესურსების ჯეროვან მართვას და საწარმოში საკადრო პოლიტიკის ეფექტურად განხორციელებას. კომპანიაში 2024 წლისა და 2023 წლის განმავლობაში დასაქმებულ თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა იყო 141 და 127.

თანამშრომელთა მოტივირება, მათი ტრენინგი-განვითარება, სათანადო პირობების შექმნა, დისციპლინისა და სამუშაოსადმი თავდადების შემუშავება განმსაზღვრელი და აუცილებელი ფაქტორია იმისათვის, რომ კომპანიამ დასახულ მიზნებს მიაღწიოს.

კომპანია კარგად აცნობიერებს თავის სოციალურ და გარემოსდაცვით პასუხისმგებლობას. კომპანია მუდმივად ატარებს ღონისძიებებს თავისი საქმიანობიდან წარმოშობილი გარემოზე პოტენციური მავნე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად, როგორცაა მაგალითად, მაღაზიებისა და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება.

ნინო ნახუცავაძე

სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N251616050



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

26.11.2025 წ

სანოტარო მოქმედების
დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის
ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

სოფიკო გობეჯიშვილი

სანოტარო ბიუროს მისამართი

თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N 49, კვარტალი I, კორპუსი
3, ბინა N1

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

2 725310

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

00968483452025



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო, თბილისი, 26.11.2025წ.

მე, **ლელა ხუნაშვილი**, ნოტარიუს სოფიკო გობეჯიშვილის შემცვლელი პირი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N49 კვარტალი I, კორპ. 3, ბინა 1, ვადასტურებ თარგმანის **ნინო წოწკოლაურის** (დაბ. 19.09.1981წ. პ/ნ 01025008026, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი მირიან მეპის ქ. N 77 ბ. 20, ბაკალავრის დიპლომი B N07786, გაცემული 2002წ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, სარეგისტრაციო N 01/143) ხელმოწერის სინამდვილეს. მე გავაფრთხილე თარგმანთან **ნინო წოწკოლაური**, რომ ის პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე, რომელმაც დაადასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს. მე, **ლელა ხუნაშვილი**, ნოტარიუს სოფიკო გობეჯიშვილის შემცვლელი პირი, ვამოწმებ თარგმანის **ნინო წოწკოლაურის** ხელმოწერის სინამდვილეს და არა დოკუმენტში წარმოდგენილი სამართლებრივი ფაქტების სიზუსტეს ან მის ნამდვილობას. 38 გვ. 1 გვ.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 114 ლარი ('სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ' 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის #507-ე დადგენილება, მუხლი 31 პ.4-ის თანახმად), დღგ - 20.52 ლარი, **იანაზაძე** საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა და რეგისტრაციის საფასური 5 ლარი (ამავე დადგენილების მუხლი 39 პ.1-ის თანახმად). სულ გადახდილია 139.52 ლარი.

Tbilisi, Georgia, 26.11.2025

I, **Lela Khunashvili**, Substitute of Notary **Sofiko Gobejishvili** at the address: apt. 1, block 3, quarter 1, N49 Vazha-Pshavela Ave. Tbilisi, confirm the authenticity of the signature of the translator **Nino Tsotskolauri** (born on 19.09.1981, registered at the address: Apt.20, Building 77, Mirian Mepe st. Tbilisi, P/N 01025008026, Bachelor's Diploma B N07786, issued on 2002 by Ivane Javakhishvili State University of Tbilisi, registration N 01/143). I have warned the translator **Nino Tsotskolauri** that she is responsible for the accuracy of the translation and she has confirmed that she possesses the English language properly and provides true and accurate translation. I, **Lela Khunashvili**, Substitute of Notary **Sofiko Gobejishvili** confirm the authenticity of the signature of the translator **Nino Tsotskolauri** and not the correctness of legal facts or validity of the document. 38 p. 1 c.

Notary fee - 114 GEL according to Resolution #507 of the Government of Georgia, Article 31/4 "on applying notary fee" and due to the amount established for the Notary Chamber of Georgia rules of payment and terms of service" dated 29.12.2011, VAT - 20.52 GEL according to the article 166 of the Tax Code of Georgia, 5 GEL - registration fee according to the article 39/1 of the same Resolution. Totally paid: 139.52 GEL.

ნოტარიუს ს. გობეჯიშვილის შემცვლელი პირი
Substitute of Notary S. Gobejishvili

/ლელა ხუნაშვილი/
/Lela Khunashvili/



საქართველო * GEORGIA * NOTARY SOFIKO GORBENTSEVA
საქართველო * GEORGIA * NOTARY SOFIKO GORBENTSEVA
საქართველო * GEORGIA * NOTARY SOFIKO GORBENTSEVA